სასწავლო კურსის კურატორის მიღების წესი

პოზიცია: სასწავლო კურსის კურატორი

მიღების წესი და კრიტერიუმები:

ა) მიღება ხორციელდება ღია კონკურსის წესით ან ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით

ბ) კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- კანდიდატს უნდა ჰქონდეს შესაბამისი საგნის ინსტრუქტორის რეკომენდაცია, ან რეკომენდაცია დამსაქმებლისგან;
- კანდიდატს უნდა ჰქონდეს ასისტირების საგნის სფეროში მუშაობის მინიმუმ 2 წლიანი გამოცდილება ან ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- სამაგისტრო საფეხურზე ასისტენტობის კანდიდატს აუცილებელია ჰქონდეს მაგისტრის ხარისხი და შესაბამის სფეროში მუშაობის 3 წლიანი უწყვეტი გამოცდილება.

ძირითადი ფუნქცია-მოვალეობები:

- სასწავლო კურსის მასალების მომზადების პროცესში აქტიური მონაწილეობა;
- კურსის ფარგლებში დავალებების და გამოცდის შედეგების შემოწმება;
- შუალედური და ფინალური გამოცდების მონიტორინგი;
- საჭიროების შემთხვევაში, კურსის ინსტრუქტორის ზედამხედველობით, ასისტირება სასემინარო, პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოების წარმართვის პროცესში;
- სტუდენტთა ჯგუფური აქტივობების დაგეგმვა და წარმართვა, სტუდენტური კლუბების ფუნქციონირების ხელშეწყობა და ღონისძიებების ორგანიზების კოორდინირება.

შრომის ანაზღაურება:

სასწავლო კურსის კურატორის შრომის ანაზღაურება დარიცხული ხელფასის სახით შეადგენს 1 საათისათვის 15 ლარს, რომელიც მიეცემა შესრულებული სამუშაოს მიხედვით ორჯერ სასწავლო სემესტრის განმავლობაში, სემესტრის მე-7 კვირაში და საგამოცდო პერიოდის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში წარდგინების საფუძველზე.

სასწავლო კურსის კურატორის მიერ შესრულებული სამუშაო არ ითვლება სრულ განაკვეთურ სამუშაოდ და მისი დატვირთვა შესაძლებელია არაუმეტეს კვირაში 20 საათისა.

საათების გაანგარიშების წესი (1 კრედიტი - 25 სთ):

აკადემიური კურსის ასისტირების შემთხვევაში:		
1	ერთი 15-20 დახურულ კითხვიანი ტესტის შეფასება	15 წუთი
2	ღია კითხვებიანი ნაშრომის შეფასება	30 წუთი
3	ერთი წერითი დავალების (2-3 ფურცელი) შეფასება (მაგ., კვლევითი პროექტი)	40 წუთი
4	ერთი აკადემიური კურსის მასალის მომზადება (მაგ. სალექციო/სასემინარო მასალა, დავალებები/ტესტები და ა.შ.)	15 საათი საშუალოდ
5	აკადემიური კურსის კომპონენტის ჩატარება (მაგ. ლექციები, სემინარები) - შესაბამის კომპონენტში კურსით განსაზღვრული საათობრივი დატვირთვა, ამას დამატებული სტუდენტების შეფასებისათვის და მასალის მომზადებისათვის საჭირო საათები/დრო.	

საგნის ინსტრუქტორის მიერ შევსებული დოკუმენტის[1] ელექტორნული ვერსია უნდა იყოს გამოგზავნილი ტექნოლოგიის სკოლის შესაბამისი პროგრამის კოორდინატორთან სწავლების მე-7 კვირის და საგამოცდო პერიოდის ბოლოს.

ასისტირების აქტივობა		**დატვირთვა (სთ)**	**სემესტრი წელი**
1	აკადემიური კურსის ფარგლებში სტუდენტების შეფასება (ტესტი, ნაშრომი, დავალება)		
2	აკადემიური კურსისთვის მასალის მომზადება		
3	კურსის კომპონენტის ჩატარება		

[1] ასისტირების აქტივობის ცხრილი